განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ. სახელდობრ, ფიცის დადების მომენტიდან საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იქნება განახორციელოს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებანი (საქართველოს კონსტიტუცია, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ამ დებულებას არ შეესაბამება საქართველოს საარჩევნო კოდექსის მთელი რიგი დებულებებისა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73[1] მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 74-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალ რედაქციასთან საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით შეძლებს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების დანიშვნას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტის არჩევნების დანიშვნა ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.

2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით შეიცვალა კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, პრეზიდენტს აღარ აქვს საკუთარი ინიციატივით რეფერენდუმის დანიშვნის უფლება. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეფერენდუმი ინიშნება საქართველოს მთავრობის მოთხოვნით.

ვინაიდან კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, დანიშნოს პლებისციტი, მას აღარ აქვს ამის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტით გათვალისწინებულია პლებისციტის დანიშვნა საქართველოს მთავრობის

მიერ საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ხმალაძე